# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 216

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22–ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №337 – №343 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს

№ 216 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგის-ტრაციო ნომერი | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით, ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 337 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, №84ა–ს დასავლეთით | 532.0 | 03.01.24.562 | 68.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 338 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, №84ა–ს დასავლეთით | 611.0 | 03.01.24.561 | 68.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 339 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი, №1–ის დასავლეთით | 608.0 | 03.05.24.810 | 32.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 340 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი, №1–ის დასავლეთით | 587.0 | 03.05.24.811 | 32.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 341 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი, №1–ის დასავლეთით | 381.0 | 03.05.24.812 | 32.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 342 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი, №1–ის სამხრეთით | 336.0 | 03.05.24.813 | 32.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 343 | არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი, №1–ის სამხრეთით | 320.0 | 03.05.24.814 | 32.0 (1 კვ.მ.) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია